



## ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

### ოქმი N 14

2020 წელი 16 სექტემბერი

ქ. ბაღდათი

11:00 საათი

2020 წლის 16 სექტემბერს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

**სხდომას ესწრებოდა:** შალვა მშვილდაძე, ნოდარ გიორგიძე ირინა ტყემელაშვილი, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, დიომიდე კვიციანი, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, გურამი კვიციანი, მაია კვიციანი, თემურ მინაძე, ზაზა ზვიზივაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, მურად ბურჯანაძე, გაბრიელ ლიბრაძე, კობა მშვილდაძე, სიმონ ჭოლოკავა, შადიმან გორგოძე, მამუკა გორგოძე.

**საკრებულოს წევრები:** სულ 19 წევრი.

**არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები:** თორნიკე გაჩეჩილაძე, თეონა ფახურიძე, მაკა მესხი, გვანცა გრძელიძე, გიორგი რობაქიძე, ალექსი ლომინაშვილი, შალვა დათუაძე, რუსუდან გეჭაძე, ვლადიმერ წიქორიძე, ირაკლი გოგსაძე,

**ასევე სხდომას ესწრებოდნენ:**

**მუნიციპალიტეტის მერიიდან:**

**კახა მსხვილიძე** - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

**ქეთევან კარკაძე** - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი  
**საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.**

**რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს წევრმა, დაესწრო 19 საკრებულოს წევრი.**

**სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე, შ. მშვილდაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი და აცნობა, რომ მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოთხოვნილია რიგგარეშე სხდომის მოწვევა:**

### დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31/03/2020 #429 განკარგულებაში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსაზღვრული დაფინანსების დასახლებების მიხედვით განაწილების და შერჩეული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

მომხს. **კახა მსხვილიძე**- მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი.

2. „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო/არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №42 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

**მომხს. ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი**  
სპეციალისტი.

3. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ

**მომხს. ქეთევან კარკაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი**  
სპეციალისტი.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

**დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.**

**მომხრე - 19 წინააღმდეგი - 0**  
**კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 31/03/2020 #429 განკარგულებაში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით ბაღდათის მუნიციპალიტეტში 2020 წელს განსაზღვრული დაფინანსების დასახლებების მიხედვით განაწილების და შერჩეული პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის შესახებ.

განკარგულების ცვლილების პროექტი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა: **კახა მსხვილიძემ** - მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახურის უფროსი, რომელმაც აღნიშნა, რომ რიგი ტენდერების დასრულებისა და სამუშაოების დამთავრების შედეგად დარჩენილია გარკვეული სახის ეკონომია. მან საკრებულოს წევრებს გააცნო ის სამუშაოების ნუსხ, რომელზედაც დაიხარჯებოდა აღნიშნული თანხა.

**კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო სიმონ ჭოლოკავამ** - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ

საკრებულოს სხდომამ **გადაწყვიტა:**

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42 46 16.09.2020წ (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწვეტილება მიღებულია**  
**მომხრე- 19 წინააღმდეგი - 0**  
**კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა**

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 2.** „მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო/არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საპრივატიზებო საფასურის განსაზღვრისა და საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 აგვისტოს №42 37 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარადგინა: **ქეთევან კარკაძემ** - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

**კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო სიმონ ჭოლოკავამ** - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ **გადაწყვიტა:**

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42 47 16.09.2020წ (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწვეტილება მიღებულია**  
**მომხრე- 19 წინააღმდეგი - 0**  
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

**მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 3.** ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ.

განკარგულების პროექტი წარადგინა: **ქეთევან კარკაძემ** - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

კომისიის დასკვნა საკრებულოს წევრებს გააცნო **სიმონ ჭოლოკავამ** - მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ **გადაწყვიტა:**

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42 48 16.09.2020წ. (განკარგულება თან ერთვის)

**გადაწვეტილება მიღებულია**  
**მომხრე- 19 წინააღმდეგი - 0**  
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 19 საკრებულოს წევრმა

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

**სხდომის თავმჯდომარე:**

**შალვა მშვილდაძე**